ხელშეკრულება №100

(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)

25 დეკემბერი 2018 წ.

ქ. მცხეთა

ერთი მხრივ, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში (შემდგომში "შემსყიდველი"), წარმოდგენილი სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილის ირაკლი ცქიტიშვილის სახით, მეორე მხრივ, შპს "ჩემი ოფისი" (შემდგომში "მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი კახუაშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება") შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციისთვის CPV30125100 კოდით განსაზღვრული კარტრიჯების დატენვა/აღდგენა.

	დასახელება	მომსახურება	ფასი
1	CANON 728 BLACK (005821)	დატენვა-აღდგენა	25
2	CANON 728 BLACK (005820)	დატენვა-აღდგენა	25
3	HP 12A BLACK	დატენვა-აღდგენა	25
4	HP 12A BLACK	დატენვა-აღდგენა	25
5	HP 85A BLACK	დატენვა-აღდგენა	25
6	HP 85A BLACK	დატენვა-აღდგენა	25
7	Samsung 115	დატენვა-აღდგენა	35
8	CF400 (ფერადი)	დატენვა-აღდგენა	75
9	CF401 (ფერადი)	დატენვა-აღდგენა	75
10	CF402 (ფერადი)	დატენვა-აღდგენა	75
11	CF403 (ფერადი)	დატენვა-აღდგენა	75

სულ: 485.00 ლარი

2. ხელშეკრულების ღირებულება.

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **485.00 (ოთხასოთხმოცდახუთი) ლარს.**

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით შესაბამის საბანკო ანგარიშზე, ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ანგარიშფაქტურის მიღებიდან 10 დღის ვადაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ელდარ გულბათაშვილი.

4.2 მიმწოდებლის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შპს "ჩემი ოფისის"-ის დირექტორი გიორგი კახუაშვილი.

4.3. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება დადასტურდება მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

5.მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1. მომსახურების გაწევის ადგილია ქ.თბილისი, ა. ბელიაშვილი ქუჩა №9

5.2. მომსახურების გაწევა განხორციელდება 2018 წლის 27 დეკემბრის ჩათვლით.

6.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი;

ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების არაჯეროვანი შესრულებისას მოითხოვოს ნაკლის გამოსწორება;

6.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში;

6.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში;

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ჯეროვნად, არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, უზრუნველყოს ნაკლის გამოსწორება.

ბ) აანაზღაუროს ნაკლის გამოსწორებისთვის აუცილებელი ხარჯები, მათ შორის, ტრანსპორტირების, გზის, სამუშაოს შესრულების და მასალის ღირებულების ხარჯები.

გ) უზრუნველყოს მომსახურება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში.

7.პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის.

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გასვლის შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან/და დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვეებისა ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება, ასევე, შეიძლება შეწყდეს მხარეთა მიერ შეთანხმების აქტის საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის დადგომით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია

დაუყონებლივ აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გაგაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები, რეკვიზიტები, წარმომადგენელთა ხელმოწერები და ბეჭედი.

„მიმწოდებელი"
შპს „ჩემი ოფისი"

საიდენტიფიკაციო კოდი: 401997112
მის: ა. ბელიაშვილი №9
პროკრედიტ ბანკი
ბანკის კოდი: MIBGGE22
ანგარიში: GE61PC0133600100065770
საკონტაქტო პირი: 577600293

დირექტორი:

გიორგი კახუაშვილი

"შემსყიდველი"

სახელმწიფო რწმუნებულის
ადმინისტრაცია დუშეთის,
თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის
მუნიციპალიტეტებში
იურიდიული მისამართი: ქ.მცხეთა
აღნაშენებლის #73
საიდენტიფიკაციო კოდი: 236032994
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ხაზინის ანგარიში: GE24NB0330100200165022
საკონტაქტო პირი:599857477

სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე

ირაკლი ცქიტიშვილი